ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2335545

ნომერი: AR1359117

თარიღი : 30.11.2015

გაცემის თარიღი : 14.12.2015

გაცნობის თარიღი : 14.12.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 69ა , (სტუ X სასწავლო კორპუსი) / ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 67 , (სტუ II სასწავლო კორპუსი) / ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 69 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნატალია კანდელაკი პ/ნ 01024059653
- თბილისი, ვ.გორგასლის ქ. N34 ბ. 20

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 211349192
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: არჩილ ფრანგიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01005010430

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ზურაბ ტიტვინიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N69ა, (სტუ X სასწავლო კორპუსი) / კოსტავას ქ. N67, (სტუ IIსასწავლო კორპუსი) / კოსტავას ქ. N69–ში (ძეგლი) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე–2 სასწავლო კორპუსის ეზოში საქვაბის მოწყობის პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის საკითხს.

,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N31, 04.12.2015წ), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. თქვენს მიერ წარმოდგენილ შემოსავლების სამსახურის ინფორმაციაში საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ (გარდა მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული სუბიექტებისა) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებად ფიქსირდება რექტორი – არჩილ ფრანგიშვილი და კანცლერი – ქეთევან ქოქრაშვილი. დამკვეთის გრაფაში მითითებული უნდა იყოს ორივე უფლებასმოდილი პირი და მათი რეკვიზიტები და წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი თანხმობები;
2. გენგეგმაზე დატანილი უნდა იყოს საკადასტრო საზღვრები;
3. არ არის წარმოდგენილი განმარტებითი ბარათი ტექნიურ–ეკონომიკური მაჩვენებლებით;
4. მშენებლობის ორგანიზების პროექტის სპეციალისტის სახელი და გვარის გრაფაში გვარი არასწორადაა შეყვანილი;
5. არ არის წარმოდგენილი საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა;
6. არ არის წარმოდგენილი კონსტრუქციული პროექტი;
7. არ არის წარმოდგენილი ისტორიულ–არქიტექტურული, ანალიტიკური ინფორმაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.